საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა #8, საკადასტრო ერთეულებზე: #01.17.12.027.045; #01.17.12.023.083; #01.17.12.023.075; #01.17.12.023.078; #01.17.12.023.073; #01.17.12.023.079; #01.17.12.023.070; #01.17.12.023.077; #01.17.12.023.076; #01.17.12.023.074; #01.17.12.023.082;

მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების (A და B ბლოკები) არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	07.05.2024

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. გზა-კიბეების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. ლიფტების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
9. გარე კედლების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
10. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
11. სხვადასხვა სახის არქიტექტურული ელემენტების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
12. კარების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
13. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
14. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
15. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
16. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
17. მისაწვდომობის სხვადასხვა ელემენტების დეტალური ნახაზები *(მისაწვდომობის ნაწილი)*;

დასკვნის სარჩევი:

- გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1
- შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2
- კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3
- მაღლივი შენობისადმი მოთხოვების შეფასება ---------- 4
- ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 5
- ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 6
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 7
- გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 8
- მისაწვდომობის შეფასება ---------- 9
- შიგა გარემოს შეფასება ---------- 10
- გარე კედლების შეფასება ---------- 11
- სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 12
- წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 13
- ლიფტის შეფასება ---------- 14

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა #8, საკადასტრო ერთეულებზე: #01.17.12.027.045; #01.17.12.023.083; #01.17.12.023.075; #01.17.12.023.078; #01.17.12.023.073; #01.17.12.023.079; #01.17.12.023.070; #01.17.12.023.077; #01.17.12.023.076; #01.17.12.023.074; #01.17.12.023.082.

აღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. გრგ-ს პროექტში წარმოდგენილია ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი კომპლექსის იდეით. ივეგმება 5 საცხოვრებელი კორპუსის, სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობა. წინამდებარე დასკვნის სამსჯელო საგანს კი წარმოადგენს მხოლოდ ორი საცხოვრებელი ბლოკი, A და B ბლოკების სახით.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება მკირე რელიეფურობით, აღნიშნულის გათვალისწინებით საპროექტო შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა არა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით, არამედ მიწის დონედ მიჩნეულ იქნა რელიეფის ყველაზე დაბალი ნიშნული. წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების მშენებლობა. შენობა მოიცავს ორ ბლოკს, A და B ბლოკების სახით. შენობა მიწის დონის ქვედა სართულებზე წარმოადგენს ერთიან მოცულობას (-6.15 და -3.15 ნიშნულებზე), რომელიც მიწის დონიდან ზემოთ იყოფა ორ ურთიერთ დამოუკიდებელ ბლოკად. თითოეული ასეთი ბლოკისათვის ინდივიდუალურად (ისევე როგორც მთლიანად შენობისათვის) დაცულია „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნები.

<u>შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:</u>

- მიწის დონის ქვედა II სართული (-6.15 ნიშნულზე) - შემოზღუდული ავტოსადგომი.
- მიწის დონის ქვედა I სართული (-3.15 ნიშნულზე) - შემოზღუდული ავტოსადგომი და ტექნიკური მოწყობილობების ოთახები (სახანძრო ტუმბო, სახანძრო წყლის აუზი და ელ. ოთახი).

A ბლოკი:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - ღია ავტოსადგომი და ხანძრის მართვის ცენტრი;
- მიწის დონის ზედა II - III სართულები (+3.00 და +6.15 ნიშნულებზე) --- საოფისე ფართები;
- მიწის დონის ზედა IV – XXVII სართულები (+9.30 - +81.75 ნიშნულზე) - საცხოვრებელი ერთეულები;
- +84.80 ნიშნულზე (კონსტრუქციული ნიშნული) - არაექსპლუატირებადი სახურავი.

B ბლოკი:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - ღია ავტოსადგომი, ტექნიკური მოწყობილობებისათვის განკუთვნილი ოთახები (სახანძრო ტუმბო, სახანძრო წყლის ავზი).
- მიწის დონის ზედა II - III სართულები (+3.00 და +6.15 ნიშნულებზე) --- საოფისე ფართები;
- მიწის დონის ზედა IV – XXX სართულები (+9.30 - +91.20 ნიშნულზე) - საცხოვრებელი ერთეულები.
- +94.25 ნიშნულზე (კონსტრუქციული ნიშნული) - არაექსპლუატირებადი სახურავი.

ასევე შენობის გარეთ, დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, A და B ბლოკის გარეთ, განთავსებულია გარე ღია ავტოსადგომები, რომლებიც ემსახურება ამავე ბლოკებს.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-9 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია აქტიური და პასიური ხანძარქრობის სისტემებით. თითოეულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემასთან მიმართებაში ვრცელი ანალიზი ჩაშიფრულია წინამდებარე დასკვნის მე-7 თავში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 და 3 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობის გარე კედლებზე გამოყენებული იქნება HPL პანელები. ფასადები ნაწილობრივ შეილესება და შეიღებება. სახურავისა და ფასადის ანაწყობების დეტალური შეფასება იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-11 და მე-12 თავებში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ერთეულები A ბლოკში +9.30 - +81.75 ნიშნულზე, ხოლო B ბლოკში +9.30 - +91.20 ნიშნულზე) - შეესაბამება 310.4 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ცხოვრობენ. ეს ჯგუფი მოიცავს მრავალბინიან სახლებს/შენობებს.

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე სივრცეები A ბლოკში +3.00 და +6.15 ნიშნულებზე, ხოლო B ბლოკში +3.00 და +6.15 ნიშნულებზე; ხანძრის მართვის ცენტრი A ბლოკში 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (გაზის მრიცხველების ოთახი A ბლოკში +3.00 - +81.75 ნიშნულებზე, ხოლო B ბლოკში +3.00 - +91.20 ნიშნულებზე; სახანძრო ტუმბოს ოთახები 0.00 B ბლოკში და -3.15 ნიშნულებზე; სხვადასხვა სახის საინჟინრო ოთახები ორივე ბლოკში თითოეული სართულის დონეზე;) - რაც მეტნაკლებად შეესაბამება 306.2 ქვეთავს, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (დამლაგებლის ოთახები A ბლოკში +3.00 და +6.15 ნიშნულებზე, ხოლო B ბლოკში +3.00 და +6.15 ნიშნულებზე;) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, სადაც ინახება საშუალო საფრთხის შემცველი მასალები.

  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომები -6.15 და -3.15 ნიშნულებზე, ღია ავტოსადგომი 0.00 ნიშნულზე ორივე

ბლოკში) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომები.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

  - საცხოვრებელი ერთეულებისთვის ---------- 18,6 მთლიანი;
  - საოფისე სივრცეებისთვის და ხანძრის მართვის ცენტრისთვის ----------9,3 მთლიანი;
  - სახანძრო ტუმბოების, გაზის მრიცხველების და სხვა ტექნიკური სივრცეებისთვის ------ ---------- 27,9 მთლიანი;
  - დამლაგებლის ოთახებისთვის ---------- 46.5 მთლიანი;
  - ავტოსადგომებისთვის----------18,6 მთლიანი.

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით A ბლოკის სართულიანობა მიწის დონის ზემოთ უტოლდება 27 სართულს, ხოლო B ბლოკის - 30-ს. ამასთანავე შენობას გააჩნია 2 მიწის დონის ქვედა სართული.

- რაც შეეხება სიმაღლეს, A ბლოკის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან უტოლდება 90.0 მეტრს, ხოლო B ბლოკის სიმაღლე განსაზღვრულია 99.50 მეტრით.

- შენობაში გათვალისწინებულია სკ-2, სქ, სმ-1, სწ-1 და სწ-2 ჯგუფები.

- ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (I-A) მიხედვით.

3 | კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი (I-A) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. IA ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, რომელიც უნდა დაზუსტდეს და შესრულდეს კონსტრქუციულ პროექტში.

- შენობების ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი არქიტექტურული პროექტის მიხედვით შეესაბამება 601 ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული უნდა იყოს 721 ქვეთავის მიხედვით (რომელიც გათვალისწინებულ და დაცულ უნდა იქნას კონსტრქუციული პროექტით):

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 3სთ.
  გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 3სთ.
  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.

- 602 ცხრილზე დაყრდნობით, გარე არამზიდი კედლებისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე, ორივე ბლოკის ა-დ და დ-ა ღერძებში განისაზღვრა 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის ვალდებულება. ასევე მთელ პერიმეტრზე, ისეთი გარე კედლებისათვის, რომლებსაც არ ემსახურება აივნები, 1 საათიანი მინიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხის ვალდებულება დადგინდა 705.8.5 ქვეთავის მიხედვით, რაც არქიტექტურული დოკუმეტაციით დაცულია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გარე კედლის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული უნდა იყოს 721 ქვეთავის მიხედვით.

4 მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 202-ე ქვეთავის განმარტების თანახმად, მაღლივი შენობა წარმოადგენს ისეთი ტიპის შენობას, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მეტრზე ზემოთ. საპროექტო შენობის ორივე ბლოკის ბოლო დაკავებული სართულის იატაკის დონე, სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან განთავსებულია 37 მეტრზე მაღლა, თუმცა არაუმეტეს 130 მეტრისა, შესაბამისად საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივის II კატეგორიას.

- თანახმად 403.3 ქვეთავისა, მაღლივი შენობა მთლიანად უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით და აღნიშნული ქვეთავის მე-3 გამონაკლისი არ ვრცელდება სკ-2 ჯგუფის 37 მეტრზე მაღალ შენობებში.

  საშხეფი სისტემის ვალდებულებას ასევე ადგენს 1707.3 ქვეთავი, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის მისადგომი ლიფტების შემცველ შენობებში.

  თავის მხრივ ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება ვრცელდება 903.2.11.3 ქვეთავით, სახანძრო განყოფილების ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა მდებარე ისეთ შენობებში, რომლის იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა 30 ან 30-ზე მეტია.

  ზემოაღნიშნულ სამივე მოთხოვნას კი ეწინააღმდეგება 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისი, რომლის თანახმად 2028 წლის 1 აპრილამდე სკ-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი მაღლივი შენობის საცხოვრებელ ერთეულებში (ბინებში) ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება აუცილებელი არ არის.

  თავის მხრივ წესების 102.1 ქვეთავი განმარტებულია შემდეგი სახით: სადაც ზოგადი მოთხოვნა ეწინააღმდეგება სპეციფიკურ მოთხოვას, გამოიყენება სპეციფიკური მოთხოვნა. სადაც, ნებისმიერ სპეციფიკურ შემთხვევაში, წესების სხვადასხვა ნაწილებში განსაზღვრულია განსხვავებული მოთხოვნები, უნდა შესრულდეს მათ შორის ყველაზე მკაცრი მოთხოვნა. ზოგად მოთხოვნად ჩვენს მიერ განიხილება 1707.3 ქვეთავი (ვინაიდან სახანძრო-სამაშველო ლიფტების შემცველი შენობები შესაძლოა მოიცავდეს არა მხოლოდ სკ-2 ჯგუფის დაკავებულობას) და 903.2.11.3 ქვეთავი (16.8 მეტრზე მაღალი შენობა

შესაძლებელია იყოს ნებისმიერი დაკავებულობის შემცველი). თუმცა აშკარა სპეციფიკურ მოხოვნას წარმოადგენს 403.3 ქვეთავი (შესაბამისი გამონაკლისებით) და 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისი. შესაბამისად სავალდებულოა ვიხელმძღვანელობთ 102.1 ქვეთავით და ორ ურთიერთსაწინააღმდეგო სპეციფიკურ მოთხოვნათაგან გავითვალისწინოთ ყველაზე მკაცრი მოთხოვნა, რომლის თანახმად მთელი შენობა უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით; თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის 30 მარტს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილება შევიდა იმ მიზნობრიობიდან გამომდინარე, რომ სკ2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის ბინები გათავისუფლებულიყო საშხეფი სისტემის მოთხოვნისაგან (თუმცა ცვლილება რეგლამენტში შეტანილ იქნა არასრულყოფილად), შესაძლებლად მიგვაჩნია ვიხელმძღვანელოთ 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისით, <u>მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულზე თანხმობას გასცემს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.</u>

- აღმომჩენი, განგაშისა და საავარიო სისტემები მაღლივ შენობაში შეესაბამება 403.4.1 – 403.4.8 ქვეთავებს.

- შენობაში მოწყობილია ხანძრის საკონტროლო ცენტრი (A ბლოკში 0.00 ნიშნულზე), რაც შეესაბამება 403.4.5 პუნქტის მოთხოვნას. თუმცა ამავე პუნქტზე დაყრდნობით <u>ხანძრის საკონტროლო ცენტრის განთავსების ადგილი უნდა შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.</u>

- საპროექტო შენობა აღჭურვილია ბუნებრივი და მექანიკური სანიავებელი სისტემით, რაც შეესაბამება 403.4.6 პუნქტის მოთხოვნას.

- <u>სათადარიგო ელ. სისტემას შენობაში უნდა წარმოადგენდეს გენერატორი, რომელიც შენობის მეორადი ელექტრო და ენერგო მომარაგების წყაროა. საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას დაზუსტდეს გენერატორის განთავსების არეალი.</u>

- თითოეულ ბლოკში, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 9,0 მეტრზე მეტად, თანახმად 403.5.1 ქვეთავისა და ამასთანავე კიბეებში შემავალ გზა-კარს შორის მანძილი შეესაბამება 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული გზა-კიბე შეესაბამება 909.20 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნებს, თანახმად 403.5.4 ქვეთავისა.

- გასასვლელი ბილიკის განათებული აღნიშვნები სავალდებულოა არაა არცერთ საპროექტო ბლოკში, თანახმად 1024 ქვეთავის მოთხოვნისა.

- თანახმად 403.6.1 პუნქტისა, შენობებში, რომლის დაკავებული იატაკი სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე მაღლაა, უნდა არსებობდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი, არანაკლებ, ორი ლიფტი. სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი თითოეული ლიფტის ტვირთამწეობა, სულ მცირე, 1600 კგ უნდა იყოს და 1707 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ორივე საპროექტო ბლოკში გათვალისწინებულია ორ-ორი 1600 კგ-იანი ტვირთამწეობის ლიფტი. აღნიშნული ლიფტების შესახებ ინფორმაცია ჩაშიფრულია წინამდებარე დასკვნის მე-14 თავში.

5 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია შენობის -3.15 და -6.15 ნიშნულებზე შემოზღუდული ავტოსადგომების, ხოლო ორივე ბლოკის საზღვრებში 0.00 ნიშნულის დონეზე ღია ავტოსადგომის მოწყობა. ავტოსადგომები ასევე გათვალისწინებულია გარე სივრცეში ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- შენობაში განთავსებულ ავტოსადგომებში ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე იატაკის დონიდან თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.15 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 406.4.1-ე ქვეთავის მოთხოვნას. მიკროავტობუსისთვის განკუთვნილი სადგომი განთავსებულია გარე სივრცეში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამის მოთხოვნას.

- ბუნებრივი განიავების მიზნით, A და B ბლოკების 0.00 ნიშნულზე განთავსებულ ავტოსადგომების დონეს მინიმუმ ორ გარე მხარეს აქვს თანაბრად განაწილებული ღიობები. გარე კედლების ღიობების ფართობი შეადგენს დონის მთელ პერიმეტრზე კედლის ფართობის, სულ მცირე, 20%-ს. ბუნებრივი განიავებისათვის განკუთვნილი ღიობების საერთო სიგრძე კი შეადგენს დონის პერიმეტრის, სულ მცირე, 40%-ს, თანახმად 406.5.2 ქვეთავისა.

- -3.15 და -6.15 ნიშნულებზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომები ნიავდება მექანიკურად, თანახმად 406.6.2 ქვეთავისა.

- -3.15 და -6.15 ნიშნულებზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 406.6.3 ქვეთავისა.

- თითოეული ავტოსადგომის დონეზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომების სივრცეებზე გათვალისწინებული შშმ პირთათვის გათვლილი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“. მისაწვდომი ავტოსადგომების საჭალდებულო მინიმუმი განისაზღვრა 6 ცალი სადგომით, თუმცა პროექტით გათვალისწინებულია 9 ცალი მისაწვდომი სადგომი, რომელთაგან 2 წარმოადგენს მიკროავტობუსისათვის მისაწვდომს და ასეთი სადგომები განთავსებული გარე, ღია ტერიტორიაზე საპროექტო ბლოკების მიმდებარედ.

- ავტოსადგომებზე ცალმხრივი გზების სიგანე უტოლდება 3.5 მეტრს, ხოლო ორმხრივი საავტომობილო გზების სიგანე 6.0 მეტრს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საავტომობილო გზების და პანდუსების შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- საავტომობილო პანდუსების დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს. კერძოდ საავტომობილო პანდუსები მოწყობილია შენობაში და მათი დახრა არ აღემატება 18%-ს, ასევე პანდუსის თავსა და ბოლოში გათვალისწინებულია 8-10%-იანი დახრის მქონე გარდამავალი პანდუსები. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული ავტომობილის სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.

6 | ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- გასათვალისწინებელია, რომ 705.3 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით, ღიობების აუცილებელი დამცავებისა და ნაშვერებისადმი მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით, მიწის ერთ ნაკვეთზე მდებარე შენობებს შორის არ არის სავალდებულოო გაივლოს წარმოსახვითი საზღვარი, თუ ასეთი შენობების საერთო ფართობი მე-5 თავში თითო შენობისათვის გათვალისწინებულ ზღვრებს არ სცდება. თავის მხრივ საპროექტო შენობა ვერც იქნებოდა განხილული ორ ურთიერთდამოუკიდებელ ნაგებობად (ვინაიდან მიწის დონის ქვედა სართულებზე ორივე ბლოკს საერთო ავტოსადგომი სივრცე ემსახურება), თუმცა ზემოაღნიშნული გამონაკლისი იძლევა დამატებითი ტიპის საშუალებას მიწის დონის ზედა სართულებისათვის საავალდებულოდ არ განვსაზღვროთ წარმოსახვითი ხანძარსაწინააღმდეგო საზღვარი ორ ნაწილობრივ მოსაზღვრე ბლოკს შორის. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით ვადგენთ, რომ აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც საპროექტო შენობის გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.

  აქვე ვაფიქსირებთ იმ გარემოებას, რომ 705.3 ქვეთავის მოთხოვნა ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე სხვა შენობების მიმართ დაცულია.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლებში არსებული ღიობები გამიჯნულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად.

- საპროექტო შენობის ორივე ბლოკს გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე აღემატება 0,76 მეტრს და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.

- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს მზიდ კედლებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 3 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას. 2 და 3 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, მზიდი კედლებითა და თარაზული ანაწყობებითაა გამიჯნულია გზა-კიბეების ვესტიბიულები უშუალოდ გზა-კიბეებისაგან და ასევე მომიჯნავე ფართებისაგან, თანახმად 909.20.2 ქვეთავისა.

- გასასვლელის გზა-დერეფნების შემომზღუდავი კედლების, იატაკისა და ჭერის ცეცხლმედეგობის ხარისხი არ არის შიგა გასასვლელის გზა-კიბის აუცილებელ ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები და განსაზღვრულია 2 საათით.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

- საპროექტო შენობის ორივე ბლოკის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთ დაცულ ნაწილებად ფორმირების მიზნით. თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნები შეესაბამება 508.4 ცხრილის მოთხოვნას.

- საცხოვრებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც შეესაბამება 708.1 და 420.2 ქვეთავების მოთხოვნებს. ასეთი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, თანახმად 708.3 ქვეთავისა.

- საცხოვრებელი ერთეულების და საოფისე ფართების მომსახურე დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.1 ქვეთავის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.

- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო სამსახურისათვის მისადგომი ლიფტების ფოიეს შემომზღუდავების და მისი მომსახურე კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1707.7 ქვეთავის მიხედვით. ამას გარდა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვინაიდან ფოიე მოიცავს თავშესაფრის ფართობს, მისი შემომზღუდავი უნდა იყოს კვამლგაუმტარი ზღუდე, რომელიც უნდა აიგოს 709 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- რაც შეეხება სტანდარტულ ლიფტებს, განთავსებულს 1-2 და 11-13 ღერძებში, მათთან მიმართებაში დაცულია 713.14 ქვეთავის მოთხოვნა.

- ლიფტების სამანქანო ოთახები მზიდი კედლებით გამიჯნულია მომიჯნავე ფართებისაგან და ასეთი გამმიჯნავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 3 საათით, ხოლო მათი მომსახურე კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს, რაც შეესაბამება 1706.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

7 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 403.3 ქვეთავისა, მაღლივი შენობა მთლიანად უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით და აღნიშნული ქვეთავის მე-3 გამონაკლისი არ ვრცელდება სკ-2 ჯგუფის 37 მეტრზე მაღალ შენობებში.

  საშხეფი სისტემის ვალდებულებას ასევე ადგენს 1707.3 ქვეთავი, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის მისადგომი ლიფტების შემცველ შენობებში.

  თავის მხრივ ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება ვრცელდება 903.2.11.3 ქვეთავით, სახანძრო განყოფილების ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა მდებარე ისეთ შენობებში, რომლის იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა 30 ან 30-ზე მეტია.

ზემოაღნიშნულ სამივე მოთხოვნას კი ეწინააღმდეგება 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისი, რომლის თანახმად 2028 წლის 1 აპრილამდე სკ-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი მაღლივი შენობის საცხოვრებელ ერთეულებში (ბინებში) ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება აუცილებელი არ არის.

თავის მხრივ წესების 102.1 ქვეთავი განმარტებულია შემდეგი სახით: სადაც ზოგადი მოთხოვნა ეწინააღმდეგება სპეციფიკურ მოთხოვას, გამოიყენება სპეციფიკური მოთხოვნა. სადაც, ნებისმიერ სპეციფიკურ შემთხვევაში, წესების სხვადასხვა ნაწილებში განსაზღვრულია განსხვავებული მოთხოვნები, უნდა შესრულდეს მათ შორის ყველაზე მკაცრი მოთხოვნა. ზოგად მოთხოვნად ჩვენს მიერ განიხილება 1707.3 ქვეთავი (ვინაიდან სახანძრო-სამაშველო ლიფტების შემცველი შენობები შესაძლოა მოიცავდეს არა მხოლოდ სკ-2 ჯგუფის დაკავებულობას) და 903.2.11.3 ქვეთავი (16.8 მეტრზე მაღალი შენობა შესაძლებელია იყოს ნებისმიერი დაკავებულობის შემცველი). თუმცა აშკარა სპეციფიკურ მოხოვნას წარმოადგენს 403.3 ქვეთავი (შესაბამისი გამონაკლისებით) და 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისი. შესაბამისად სავალდებულოა ვიხელმძღვანელობთ 102.1 ქვეთავით და ორ ურთიერთსაწინააღმდეგო სპეციფიკურ მოთხოვნათაგან გავითვალისწინოთ ყველაზე მკაცრი მოთხოვნა, რომლის თანახმად მთელი შენობა უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით; თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის 30 მარტს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილება შევიდა იმ მიზნობრიობიდან გამომდინარე, რომ სკ2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის ბინები გათავისუფლებულიყო საშხეფი სისტემის მოთხოვნისაგან (თუმცა ცვლილება რეგლამენტში შეტანილ იქნა არასრულყოფილად), შესაძლებლად მიგვაჩნია ვიხელმძღვანელოთ 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისით, <u>მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულზე თანხმობას გასცემს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.</u>

- საშხეფი სისტემის ვალდებულებისაგან ასევე გათავისუფლებულია ღია ვტოსადგომები, თანახმად 403.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისისა.

- სკ-2 ჯგუფის დერეფნები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 903.2.8 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა (რომელიც მხოლოდ ბინებს ათავისუფლებს სპრინკლერებისაგან და არა მათ მომსახურე საერთო სარგებლობის დერეფნებს).

- ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მაღლივი შენობის სხვა ყველა სართულზე, მათ შორის შემოზღუდული ავტოსადგომის და საოფისე ფართების სართულებზე.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

  თანახმად 905.4 ქვეთავისა:

  - გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, სახანძრო მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების ვესტიბიულებსა და სახანძრო-სამაშველო ლიფტებისათვის განკუთვნილ ფოიეში. ასეთ არეალებში მილდგარების მოწყობის საკითხი სავალდებულოდ უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

    გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

  თანახმად 905.5 ქვეთავისა:

  - II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია თითოეული სართულის დონეზე.

გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია თითოეული სართულის დონეზე, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- ცეცხლისაგან დაცულ თითოეულ ფართობზე, თანახმად 907 ქვეთავისა, სავალდებულოა მოეწყოს სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა.
  სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემის კოლოფები განთავსებულია სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს.

- დამკავებელთა შეტყობინების სისტემას შენობაში წარმოადგენს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა. ცეცხლის ავტომატური ნებისმიერი აღმოჩენის, საშხეფის წყლის ჭავლის მარეგულირებელი მოწყობილობის ან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის ამუშავებისას ავტომატურად უნდა გამოიცეს სიგნალი, რომელსაც მოჰყვება ხმოვანი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთო ან ეტაპობრივი ევაკუაცია. რუპორები განთავსებულია თითოეული სართულის დონეზე, მათ შორის ლიფტებთან, გასასვლელის გზა-კიბეებში, თავშესაფრის ფართობებზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 907.5.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- საერთო გამოყენების ფართობზე, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სკ-2 ჯგუფის საძინებლებში განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეების და ლიფტის შახტების დაწნევის სისტემა, თანახმად 909 ქვეთავისა, უნდა ამოქმედდეს კვამლაღმოჩენებით, რომელიც დაყენებულია თითოეული სართულის იატაკის დონეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით საერთო სარგებლობის დერეფნები, ვესტიბიულები და ლიფტის ფოიეები უზრუნველყოფილია კვამლაღმოჩენებით.

- თითოეული მექანიკური მოწყობილობის და ლიფტის მოწყობილობის თითოეულ ოთახსა და ლიფტის ფოიეში, მოწყობილია კვამლაღმოჩენები, თანახმად 907.2.13.1.1 ქვეთავისა.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- თითოეული გზა-კიბე აღჭურვილია დაწნევის სისტემით. გასათვალისწინებელია, რომ გზა-კიბეებში წნევის შექმნა უნდა შეესაბამებოდეს 909.20.6 ქვეთავების მოთხოვნას.

  დაწნევის სისტემის გარდა, შემოზღუდული ავტოსადგომების დონეზე, გზა-კიბეების ვესტიბიულები უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სიტემით. ასეთი განიავების სიტემა უნდა შეესაბამებოდეს 909.20.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ასევე დაწნევის სისტემითაა უზრუნველყოფილი ლიფტის შახტები. ლიფტის შახტებში წნევის შექმნა უნდა შეესაბამებოდეს 909.21 ქვეთავის მოთხოვნებს.

ხანძრის მართვის ცენტრი:

- შენობაში მოწყობილია ხანძრის მართვის ცენტრი, რაც შეესაბამება 911.1 ქვეთავის მოთხოვნას. ასეთი სივრცე განთავსებულია A ბლოკში, 0.00 ნიშნულზე.

- ხანძრის მართვის ცენტრი დანარჩენი შენობისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება 911.1.2 ქვეთავს.

- ოთახის პარამეტრები შეესაბამება 911.1.3 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია B ბლოკის ფასადზე სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო ტუმბო:

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია B ბლოკის საზღვრებში, 0.00 ნიშნულზე და ასევე -3.15 ნიშნულზე, რომლის შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 913.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

8 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
  - A ბლოკში +9.30 - +81.75, ხოლო B ბლოკში +9.30 - +91.20 ნიშნულების დონეებზე განთავსებული საცხოვრებელი ბინების ჯამური საერთო დაკავებულობის დატვირთვა სართულზე არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად აღნიშნული სართულებისთვის საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა, რაც პროექტით გათვალისწინებულია. მითითებულ სართულებს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.
  - A და B ბლოკებში +3.00 და +6.15 ნიშნულებზე განთავსებული საოფისე სივრცეების დაკავებულობის დატვირთვაც თითოეული სართულისთვის არ აღემატება 500

დამკავებელს, შესაბამისად აღნიშნული სართულებისთვისაც საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.

- A და B ბლოკებში 0.00 ნიშნულზე განთავსებულ ღია ავტოსადგომებს პირდაპირი კავშირი აქვს გარე სივრცესთან. რაც შეეხება B ბლოკის ავტოსადგომის საზღვრეში განთავსებულ სხვადასხვა ტექნიკურ სივრცეებს, აღნიშნულს ემსახურება შენობებიდან გასასვლელი გზა-კარი და ბილიკი. ამას გარდა 0.00 ნიშნულზე განთავსებული ის ტექნიკურ ოთახები რომლებიც გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, პასუხობს 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს და მათ ემსახურება თითო გასასვლელის გზა-კარი.
- -3.15 და -6.15 ნიშნულებზე განთავსებული ავტოსადგომის და სხვადასხვა დამხმარე სივრცეების ჯამური დაკავებულობის დატვირთვა ნაკლებია 500 დამკავებელზე, შესაბამისად აღნიშნულ სართულებს ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა რაც პროექტით გათვალისწინებულია ოთხი გზა-კიბის სახით.

- შენობიდან გამოსასვლელი დონის ზემოთ და ქვემოთ განთავსებული სართულების მომსახურე ყველა გზა-კიბე 0.00 ნიშნულის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება გზა-დერეფნების საშუალებით. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1022.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეების მომსახურე გზა-დერეფები აკმაყოფილებს 1023 ქვეთავის მოთხოვნებს. ამასთანავე გზა-დერეფნებში მოეწყობა მხოლოდ 1023.6 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია დატანილია წარმოდგენილ გეგმაზე და რაც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში.

- ვინაიდან შენობა განეკუთვნება მაღლივ კატეგორიას, სავალდებულოა კიბეებისთვის ვესტიბიულების მოწყობა რაც პროექტით გათვალისწინებულია. ვესტიბიულების ზომები აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, თანახმად 1022.2 ქვეთავისა, ამას გარდა შიგა გასასვლელის გზა-კიბეებში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია დატანილია წარმოდგენილ გეგმებზე და რაც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში.

- თითოეული სართულის დონეზე გზა-კიბეები განთავსებულია 1015.2.1 ქვეთავისა და 403.5.1 ქვეთავის შესაბამისად.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

- ყველა იმ სივრცეში სადაც საჭიროა ერთზე მეტი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის მოწყობა, სულ მცირე ორ გასასვლელს შორის დაცულია სივრცის მაქსიმალური დიაგონალის 1/2-ზე მეტი მანძილი, თანახმად 1015.2.1 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით), რაც ასევე ნაკლებია 1007.3 ქვეთვით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად მისაწვდომი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უნდა იყოს სულ მცირე 1.20 მეტრი. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და შენობის ორივე ბლოკის თითოეული კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს, ხოლო თავისუფალი სიგანე კედლიდან მოაჯირამდე განსაზღვრულია 1.41 მეტრის სახით.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება 1.50 მეტრს, ხოლო გზა-დერეფნების სიგანე 1.70 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობების მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების საზღვრებში კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ორივე ბლოკის სახურავზე მიდგომა ხორციელდება თითო გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული სართულის დონეზე დაკმაყოფილებულია ჩიხებისადმი მოთხოვნა, კერძოდ ვინაიდან დერეფნები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, დასაშვებია სკ-2 ჯგუფის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში დერეფნების ჩიხის სიგრძე გაიზარდოს 15 მეტრამდე, თანახმად 1018.4 ქვეთავის მე-4 გამონაკლისისა.

- თითოეული სართულის დონეზე უზრუნველყოფილია საერთო საევალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.

- გასასვლელებთან მისადგომი საევალი მანძილი, თითოეული სართულის დონეზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და

ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია თითოეული კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე, თანახმად 1022.9 ქვეთავისა.

9 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და საპროექტო შენობა (მისი ორივე ბლოკი) და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა მთავარ შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო ორივე ბლოკის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსადგომები უზრუნველყოფილია 1106.2 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით. თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე, ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს. მიკროავტობუსისათვის მისაწვდომი სივრცეები (ორი სადგომი) განთავსებულია შენობის გარეთ, ღია ავტოსადგომზე. მიკროავტობუსისათვის განსაზღვრული პარამეტრები

შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომი შესასვლელიდან მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მდებარეობს უმოკლეს მისაწვდომ სვლაგეზე, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობაში განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულების 2% - 15 (A ბლოკში 6 ცალი, ხოლო B ბლოკში - 9 ცალი) საცხოვრებელი ერთეული წარმოადგენს „ა“ ტიპის ერთეულს, ხოლო ყველა დანარჩენილი „ბ“ ტიპის ერთეულს, რაც შეესაბამება 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნებს. „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საოფისე ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.

- მისაწვდომ სვლაგეზე მდებარე სამგზავრო ლიფტები მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს, მისაწვდომ ლიფტებს (#1, #2, #4, #5) და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შშმ პირთათვის განკუთვნილ ყველა ლიფტთან და თავშესაფრის ფართობებზე მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- ორმხრივი კავშირის სისტემა მოწყობილია გზა-კიბის საზღვრებში და ლიფტის ფოიეში თავშესაფრის ფართობთან, რაც აკმაყოფილებს 1007.8 და 1007.6.3 ქვეთავების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის

საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.

- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს,

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან და ლიფტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

10 შიგა გარემოს შეფასება:

- ორივე ბლოკში განთავსებული საცხოვრებელი ერთეულების ოთახები, საოფისე სივრცეები, ასევე 0.00 ნიშნულის დონეზე განთავსებული გზა-დერეფნები, ჰოლის სივრცეები, ხანძრის მართვის ცენტრი და საიჟინრო ოთახები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.

- ბუნებრივად ნიავდება ასევე A და B ბლოკებში 0.00 ნიშნულის დონეზე განთავსებულია ღია ავტოსადგომები, რაც აკმაყოფილებს 406.5.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- -6.15 და -3.15 ნიშნულებზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომები უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, რაც შესაბამისობაშია 1203 და 406.6.2 ქვეთავებთან.

- ყველა ის ფართი, რომელიც 1203.4.1 ქვეთავის შესაბამისად ვერ ნიავდება ბუნებრივად (ესეთი ფართებია: ტიპიურ სართულებზე განთავსებული საერთო სარგებლობის დერეფნები,

სხვადასხვა სართულის დონეზე განთავსებული საინჟინრო-სასანიტარო სივრცეები) უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით.

- რაც შეეხება საპროექტო შენობაში განთავსებულ აბაზანებისა და ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

